პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 192 (3169)

2 1966 წ. ოქტომბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი




ჩოგბურთი

## კიდევ 2 წლით

ალმა-ათა, 30 სექტემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონებმა — „დინამოს" ჩოგბურთელებმა, რომლებიც საკავშირო ფედერაციის პრიზს 1951 წლიდან ფლობენ, კიდევ 2 წლით შეინარჩუნეს ეს საპატიო ნადავლი: სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში მათ სძლიეს შეიარაღებული ძალების ჩოგბურთელებს.

III ადგილისთვის ბრძოლაში „ბურევესტნიკის" სპორტსმენები აგებდნენ „ტრუდთან" — 7:10, მაგრამ მაინც შეძლეს გამარჯვება (12:10) და III ადგილს დაეპატრონენ.

I ჯგუფში V-VIII ადგილები ასე განაწილდა: „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „ავანგარდი" და „ქალგირისი". ეს უკანასკნელი გაისად ადგილს დაუთმობს II ჯგუფში გამარჯვებულს — ესტონეთის „კალევის" სპორტსმენებს.

## „განთიადი" მეორე იყო

ალმა-ათა, 30 სექტემბერი (დეპეშით, ჩვენი კორ.). ჩოგბურთელთა აქ დამთავრებულ საკავშირო გუნდურ პირველობაში II ჯგუფის კოლექტივთა შორის წარმატებით იასპარეზა საქართველოს „განთიადის" ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. ივანოვა, ა. ვერულავა, ვ. ორჯონიკიძე, გ. ეგნატაშვილი, გ. მუსაელიანი, ს. ზერკალოვა, მ. შარიკოვა, პ. ყაზაროვი, ს. ხაჩატუროვი (მწვრთნელი გ. ლარიბაშვილი). მან I ქვეჯგუფში ყველა მეტოქე დაამარცხა („მოლდოვა" — 7:2, „ტრუდი" — 8:1, „მეხნატი" — 7:2, „ზახმეტი" — 7:1) და გავიდა ფინალში, სადაც მხოლოდ „კალევთან" წააგო — 4:7 და II ადგილი დაიკავა.

განთიადელთაგან გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინეს ა. ივანოვამ, ა. ვერულავამ და გ. მუსაელიანმა, რომელთაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ.



## 1. ნამდვილი ჩემპიონები

ოთხჯერ უტევდნენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები იმ მწვერვალს, რომელსაც მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება ჰქვია. სამჯერ ჰქონდათ მათ გაშლილი სალაშქრო ბანაკი თითქმის ზედ მწვერვალთან, სამჯერ მონაწილეობდნენ ისინი ფინალურ გათამაშებაში, მაგრამ სწორედ იმ ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა გამოდგა ძნელი.

და აი, ეს უმაღლესი მწვერვალი წლეულს დაპყრობილ იქნა! ლუგანსკში მოწყობილ ფინალურ შეჯიბრებაში თბილისელებმა შესანიშნავად ითამაშეს, დაიკავეს I ადგილი და მოიპოვეს სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი პრიზი. მოთამაშეები დაჯილდოვდნენ ოქროს მცირე მედლებით. გარდა ამისა, გუნდმა მიიღო სპეციალური პრიზი საუკეთესო ტაქტიკური მომზადებისთვის.

სურათზე აღბეჭდილია ბედნიერი წუთები ფინალური მატჩის შემდეგ დამთავრდა თამაში, თბილისელებმა დაიკავეს I ადგილი და ლუგანსკის საკონდიტრო კომბინატის გოგონებმა მათ ვეება სამახსოვრო ტორტი მიუძღვნეს.

◆ სტოკჰოლმი, 1 ოქტომბერი. სპიდვეის (წიდიან ბილიკზე მოტორბოლის) საბჭოთა ოსტატებმა აქ ახალი გამარჯვება მოიპოვეს, — ანგარიშით 60:36 დაამარცხეს „გეტინგარნის" გუნდი. უფელი ი. პლეხანოვი ამჯერადაც საუკეთესო იყო. მან 15 ქულა მოაგროვა.

◆ ცერმატი, 1 ოქტომბერი. შვეიცარიის ამ პატარა ალპური ქალაქის ორმა მეგზურმა-მთამსვლელმა თავისებური რეკორდი დაამყარა. დღეღამის განმავლობაში ისინი ორჯერ ავიდნენ მწვერვალ მატერჰორნზე (4477 მ). ეს მთამსვლელები არიან 33 წლის რ. არნოლდი და 32 წლის ზ. გრავენი.

◆ ლონდონი, 1 ოქტომბერი. მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების — ბ. დენიელსისა (აშშ) და ბ. უოკერის (ანგლიის) მატჩი, რომელიც ოქტომბერში უნდა შემდგარიყო, ჩაიშალა. ამის მიზეზია ქრთამი 300 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, რომელიც დენიელსს შესთავაზეს, რათა მას მატჩი წაეგო. ამ საქმეს ახლა სკოტლანდიარდის დეტექტივები იძიებენ.

◆ ლონდონი, 1 ოქტომბერი. ნახევარი მილიონი უცხოელი ტურისტი ჩავიდა ინგლისში — მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის დღეებში — ინგლისს. ევროპიდან 359000 სტუმარი იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარშან ივლისში აქ ევროპიდან მხოლოდ 69000 ტურისტი ჩამოვიდა. ეს ცნობები გამოაქვეყნა მოგზაურობათა ბრიტანულმა ასოციაციამ.

## ფარკაშის 4 გოლი

ბუდაპეშტი, 30 სექტემბერი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია უნგრეთისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგურმა მატჩმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:2. გოლები გაიტანეს: ფარკაშმა (4) და ფრანგებმა — გონდემ და რევილიმ.

## თბილისის „ლოკომოტივი" — ფინალში

სამტრედია, 1 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ზონალური პირველობა რეგბში. ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი" და ერევნის „დინამო". გაიმარჯვა „ლოკომოტივმა" — 61:3 (27:0). ყველაზე შედეგიანი ამ შეხვედრაში იყო თბილისელი დ. დავითაია — 50 ქულა.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. „ლოკომოტივი" (თბილისი), II. „დინამო" (თბილისი), III. „დინამო" (ერევანი). ამრიგად, „ლოკომოტივი" იასპარეზებს ჩემპიონატის ფინალისტთა შორის.

## 800 წელი

რვაასი წელი...
რვაასი წელი...
როგორც ცისკარი, შენ არ
დაცხრები,
როგორც ფესვებით,
სტრიქონებით მიწას მოები,
„ვეფხისტყაოსნის" ასოები
არის მარცვლები
სიბრძნის,
სინათლის,
სიყვარულის
და სათნოების...
საქართველოში თესე და თესე
შენ ეს მარცვლები...
და ეს მარცვლები გვაპურებს
დღესაც,
მათი სიკეთით დრო-ჟამს
გასწვდები...
გზა ხარ,
სივრცეთა გადაკვეთა შენი
ბედია,
მთა ხარ,
სიმაღლეს ცაში შეები,
ზღვა ხარ,
რომელსაც კი არ ერთვიან,
თვით მისგან, მისგან იწყებიან
მდინარეები.
და იფანტები ყველგან
სიმღერად,
სულ ჩქარობ, ჩქარობ,
არ დასანდები,
დღე ხარ იმხელა,
დღე ხარ იმხელა,
რვაასი წელი არა დაგდები, —
არც დაღამდები!

გიორგი შეთეკაური.

## ზეიმს მიუძღვნეს

სამტრედია (ჩვენი კორ.). „ლოკომოტივის" სტადიონზე „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი მოაწყო.

ასპარეზობა გახსნეს დიდი ჯიხაიშისა და კულაშის ტექნიკუმების ლელობურთელებმა. შეხვედრა დამთავრდა დიდჯიხაიშელთა გამარჯვებით — 4:3.

საკოლმეურნეო თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ნაფალაურის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობისა და ბაშის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ნაფალაურელებმა — 4:1.

ცხენოსანთა შეჯიბრებები გახსნეს ისინდის ოსტატებმა. ამ საინტერესო სახეობაში ყველაზე აჯობა სამტრედიის გუნდმა.

ცხენბურთელთა ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — სამტრედიელები და წულუკიძელები.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა—11:1.

ჯ. ვაშაკიძე.

## დღეს

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული ზეიმი.

დასაწყისი 18 საათზე.

◆ „პაწაწინას" დიდი სისწრაფე

მოტოციკლსამენი საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნეს 50 კბ სმ-მდე მოცულობის ახალი სპორტული მანქანა, „ს-50". ამ მოტოციკლის ძრავას წუთში 12.000 ბრუნვის დროს აქვს 10,5 ცხენის ძალა, რაც ცილინდრის 1 ლიტრის მოცულობისას 210 ცხენისძალას შეადგენს.

მოტოციკლის უკვე პირველი სატურნირო გამოცდა ოქროს მედლით აღინიშნა. სსრ კავშირის პირველობაზე ამას წინათ გამართულ საგზატკეცილო-რკალურ რბოლაში ინსტიტუტის ინჟინერ-გამომცდელმა, სპორტის ოსტატმა ე. ბორისენკომ ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სერპუხოვო.

◆ სკუტერი „ბერკუტი"

ლენინგრადის დოსააფის სპორტულ გემსაშენმა ქარხანამ გამოუშვა „ბერკუტის" ტიპის სკუტერი „რმ-250". მანქანის ძრავას 40 ცხენის ძალა აქვს. ქარხნის ინჟინრის, სსრ კავშირის მრავალგზის რეკორდსმენისა და ჩემპიონის ა. კიპინის კონსტრუქციით აგებულმა ამ ხომალდმა გამოცდისას საათში 109 კილომეტრამდე სისწრაფე განავითარა.

ქარხანამ დაიწყო სერიული გამოშვება კ-02-ის ტიპის კატერისა „ლენინგრადი-2". ადრინდელი ტიპის ხომალდებთან შედარებით მისი კორპუსი უფრო სრულყოფილია. როგორც გამოცდამ ცხადყო, „ლენინგრად-2"-ს ორი მრბოლელით საათში 50 კილომეტრზე მეტი სისწრაფის განვითარება შეუძლია.

მოძველებული „სტარტის" ტიპის ძრავიანი ნავების ნაცვლად ქარხანა უშვებს სარბოლ ნავებს „ნევას", რომელსაც აქვს მოსახსნელი ძრავა „მოსკოვი". მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტურისტებისა და შორეული მოგზაურობის მოყვარულთათვის განკუთვნილ „ზპკ-7"-ის კატერის კონსტრუქციაც. ახლა მასზე დადგმულია 20 ცხენისძალიანი ძრავა „ვიხრი".

ლენინგრადი.



სარატოვი. ამ ვოლგისპირა ქალაქის სპორტსმენები კარგად იყენებენ ბუნებრივ პირობებს და მდინარეზე ხშირად ვარჯიშობენ ნიჩბოსნობაში, ცურვაში, აფროსნობასა და თხილამურებით სრიალში. სპორტის ახალმა სახეობამ — საწყლოსნო თხილამურებმა განსაკუთრებით გავრცელება ჰპოვა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში.

სურათზე: საწყლოსნო თხილამურებით ტრამპლინიდან ხტება ვ. ჩებოტარევსკი.

ფოტო ა. ხოკოლოვისა (საკდესი).

# 2. ნამდვილი ჩემპ





კოლექტივის წარმატება თვითეული მისი წევრის თავდადებული შრომისა და მეცადინეობის შედეგია. უდიდესი მონდომებით, ... ღალავად მუშაობდნენ თავიანთ აღსაზრდელებთან ვლადიმერ ... მიხეილ პირაევი და ომარ ურთქმელიძე. წლების განმავლობაში ... ლეობდა თბილისის გუნდი ამ ძნელი შეჯიბრების ფინალურ ტურნირებში, იცვლებოდა გუნდის შემადგენლობა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი საბრძოლო სული, მიზანსწრაფვა, აზარტი და კარგი ტრადიციები. ჩვენი გუნდი ნამდვილი ჩემპიონია იმიტომ, რომ სამჯერ მონაწილეობდა ფინალში და ბოლოს მიაღწია კიდეც უმაღლეს საფეხურს.

სურათებზე აღბეჭდილია ამ მეგობრული კოლექტივის ცხოვრების მომენტები. მარცხნივ ზევით თქვენ ხედავთ გუნდის კაპიტანს თენგიზ წურწუმიას. ფეხბურთელებმა მას ანდეს გუნდის მეთაურობა და თენგიზმაც არ უღალატა თავის მეგობრებს.

სპორტული ცხოვრების რიტმი არ დარღვეულა ამ დიდი გამარჯვების მოპოვების შემდეგ. ბიჭები დაბრუნდნენ შინ და ჩვეულებრივ სპორტულ წვრთნას განაგრძობენ. აი, ისინი გასახდელში ემზადებიან მორიგი ვარჯიშისთვის (ქვევით).

საიდან არ ულოცავდნენ ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წევრებს გამარჯვებას! ფეხბურთის მოყვარულნი, ვეტერანები, კოლეგები არ იშუ-

რებდნენ მილოცვის სიტყ... ... ვლადიმ... ... აქ მყოფი ქ... მ. ... ტ. ხ...

ტურნირის საუკ... დარაჯი დავით გოგ... რათა თავისი წვლილ... დავთ მარჯვენა პი...

ტოლთა შორის ს... მელმაც საყოველთაო... ტურნირში დაწესებ... ნივ).

მარჯვენა ქვედა... თავრება. გუნდის ხ... რულს ახსოვს თბილ... დამსახურებული მწ... გებას აძლევს თავის...

ახალ გამარჯვებ...

# ვეძებებით და გიწვევთ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ამ უაღრესად აქტუალურ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პარტია და მთავრობა ფიზკულტურულ მოძრაობას განიხილავენ როგორც მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, მომავალი თაობის მორალური და ფიზიკური ჩამოყალიბების ქმედითი ზემოქმედების ჭეშმარიტ საშუალებას. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას ახალი სტიმული მიეცა.

ვაქვეყნებთ წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტივის კრების დადგენილებას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ამ მოწინავე სასწავლებელში საინტერესო გეგმები დასახეს.

აი, ეს დადგენილებაც:

**წულუკიძის ტექნიკუმელთა კარგი თაოსნობა**

ჩვენი ტექნიკუმის აქტივი ცოდნას, ძალასა და გამოცდილებას არ დაზოგავს საიმისოდ, რომ შევქმნათ ყველა პირობა — მივცეთ სამშობლოს ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად მდიდარი, მორალურად წმინდა, ფიზიკურად სრულყოფილი ახალგაზრდა სპეციალისტები და გადავაქციოთ ტექნიკუმი სწავლის, ჯანმრთელობისა და სპორტის კერად.

წარსულში ტექნიკუმის პედაგოგიურმა კოლექტივმა ცუდად როდი იმუშავა. აქ აღიზარდა სოფლის მეურნეობის მრავალი ნიჭიერი მუშაკი. საკმარისია დავასახელოთ სოციალისტური შრომის გმირები დ. წივწივაძე, მ. მჟავანაძე, საბჭოთა კავშირის გმირი გ. ბახტაძე და სხვები, რომელთა საპატიო საქმეები საქვეყნოდაა ცნობილი.

არც ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩამოვრჩებით. ამ დარგის მასობრივად განვითარებაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის ჩვენი ტექნიკუმი სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დაჯილდოებულია სიგელით. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკურ სპარტაკიადებში მუდამ საპრიზო ადგილებზე გავდივართ, გადაჭარბებით ვასრულებთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს. ჩვენს კედლებში აღიზარდა არა ერთი ნიჭიერი სპორტსმენი. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: სპორტის ოსტატები დ. მუშკუდიანი, გ. კეთილაძე, ო. გრიგოლაშვილი, ო. ბარათაშვილი, ა. ხაინდრავა და სხვ.

ვებმებით რა სპორტული ბაზებისა და თვითმოქმედი მშენებლობების საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში, ვიღებთ ვალდებულებას საკუთარი ძალებით გავაკეთოთ:

**კალათბურთისა და ფრენბურთის 2-2 მოედანი, ფეხბურთისა და ხელბურთის თითო მინდორი, სამიდაო სარბიელი, ძალოსნური სექტორები; უფრო კეთილმოწყობილი გავხადოთ სპორტული დარბაზი.**

**ზემოაღნიშნული ბაზების მოწყობას დავამთავრებთ 1967 წლის 20 ივლისს.**

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ტექნიკუმის მოსწავლეების სპორტული ოსტატობის ზრდას, არამედ მოემსახურება ახლომდებარე სოფელ კუხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელებსაც.

მივმართავთ ყველა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს მხარი დაუჭირონ ჩვენს თაოსნობას და აქტიურად ჩაებან სპორტული ბაზებისა და თვითმოქმედი მშენებლობების საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმის კოლექტივის სახელით:

გ. ვაშაკიძე, ტექნიკუმის დირექტორი,
ს. რუხაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,
ნ. მუშკუდიანი, პარტბიუროს მდივანი,
ლ. სახელაშვილი, დაუსწრებელი სწავლების განყოფილების გამგე,
ი. აბესაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი,
ვ. ჭავჭანიძე, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე,
გ. ქუთათელაძე, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე,
ე. კაკაურიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი,
ა. სვანიძე, ელექტროფიკაციის პროფილის IV კურსის სტუდენტი.



# 50-ე წლისთავზე

**საუბარი ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" მთავარ რედაქტორთან პ. სობოლევთან**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას დაუთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხების შესახებ. იგი მკითხველს უამბობს როგორ ახორციელებენ ფიზკულტურული ორგანიზაციები „სიჯანსაღის პროგრამას".

საბჭოთა ქვეყნის სახელოვან იუბილეს მასალებს მიუძღვნის ჟურნალის ყველა განყოფილება. „სახალხო ჯანმრთელობის მჭედლები", — ამ რუბრიკით დაიბეჭდება ნარკვევები გამოჩენილ ადამიანებზე, მათზე, ვისაც ამ 50 წლის მანძილზე წვლილი შეუტანია ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურის განვითარებაში. „ოქტომბრის კვალდაკვალ": გამოცდილი ტურისტები მკითხველებს უამბობენ იმ ცვლილებებზე, რაც ოქტომბერმა მოუტანა საბჭოთა კავშირის ყველაზე შორეული კუთხეების მოსახლეობასაც კი. „წლიდან წლამდე" საჟურნალო ენციკლოპედიაა. ამ განყოფილებაში გამოქვეყნდება საბჭოთა სპორტის ისტორიის ამსახველი სტატიები, ცნობები მოძმე რესპუბლიკებსა და ოლქებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ, ჩანახატები სპორტსმენებსა და ვეტერან ფიზკულტურელებზე. „მსოფლიოს თავზე ფრიალებს ალისფერი დროშა": დაიბეჭდება ნარკვევები საბჭოთა და უცხოელ სპორტსმენთა ურთიერთობის შესახებ.

ჟურნალი ყველა მკითხველს იწვევს „ჯანმრთელობის ქვეყანაში" სამოგზაუროდ. ამ ქვეყნისკენ მიმავალი გზა ფიზკულტურასა და სპორტთან მეგობრობის გზაა და რაც უფრო მალე დაადგებით მას, მით უკეთესი. „დავიწყოთ ადრეული ასაკიდან", — ამ რუბრიკით ჟურნალის ყოველ ნომერში გამოქვეყნდება მასალები ბავშვთა სპორტის შესახებ.

„ჯანმრთელობის ქვეყნიდან" იწყება გზა დიდი სპორტისკენ — „სპარტაკიადებისა და ოლიმპიადების გზა". ჟურნალში აისახება საიუბილეო სპარტაკიადის ყოველი ნაბიჯი. დაინტერესებული მკითხველი „ფიზკულტურა ი სპორტის" ფურცლებზე გაეცნობა ჩვენი სპორტის პრობლემებს, მიაგნებს საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვების სათავეებს, გაიგებს მათივე მარცხის მიზეზებს.

„ფიზკულტურა ი სპორტს" არც ის მკითხველები დავიწყებია, თავად რომ იწრთობენ სხეულს. მათთვის, საბჭოთა და უცხოელ „ჰერკულესთა" გამოცდილებაზე დაყრდნობით, მუშავდება ათლეტური ტანვარჯიშის ახალი კომპლექსები. იმ ქალებს, რომელთაც სურთ დიდხანს შეინარჩუნონ მოხდენილობა და ახალგაზრდული იერი, ჟურნალი მიაწვდის ფიზკულტურული მეცადინეობის დეტალურად დამუშავებულ გრაფიკს, ექიმებისა და ტანმოვარჯიშეთა რჩევა-დარიგებებს, შეურჩევს მეცნიერულად დასაბუთებულ დიეტას. არ გამოტოვოთ სტატიები, სადაც ლაპარაკია სუნთქვის შესახებ. იგი ყველას სჭირდება — დიდსაც და პატარასაც. ყოველი ფიზკულტურელისა და სპორტსმენისთვის სასარგებლოა „ლომვეშაპების" გამოცდილების გაზიარება: ყინულოვანი წყლის მოყვარულთა შესახებ დაიბეჭდება ბევრი სტატია, ფოტოსურათი, ლიტერატურული მიმოხილვა.

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა საზღვარგარეთელ სპორტსმენებს. „ფიზკულტურა ი სპორტი" გამოაქვეყნებს ყველა ევროპული და მსოფლიო პირველობის რეპორტაჟს, დაბეჭდავს მასალებს უძლიერეს ათლეტთა წვრთნის მეთოდებზე. მკითხველი გაეცნობა სოციალიზმის ქვეყნების სპორტს, გრენობლისა და მეხიკოს ოლიმპიადებისთვის სამზადისს, იმოგზაურებს ოლიმპიურ დედაქალაქში.

გულნაკლული არც ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულები დარჩებიან. ჟურნალში დაიბეჭდება ვ. აქსიონოვის, ი. ტრიფონოვის, ა. კულეშოვის ახალი მოთხრობები, ს. ნაროვჩატოვის, ა. მეჟიროვის, რ. როჟდესტვენსკის, ლ. დმიტრიევის, ი. რაზუმოვსკის ლექსები.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში. ჟურნალით მთელი წლით რომ იყოთ უზრუნველყოფილი, მოგიხდებათ 3 მანეთის და 60 კაპიკის გადახდა.



# ჟურნალისტთა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

30 სექტემბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის II საკავშირო ყრილობამ. დასკვნით სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს ხმის დამთვლელი კომისიის ცნობა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების შესახებ.

ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების ცვლილებანი და დამატებანი.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო განცხადება ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიასთან დაკავშირებით. საბჭოთა ჟურნალისტები მოუწოდებენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალ ეროვნულ ჟურნალისტურ ორგანიზაციებს, მსოფლიოს ყველა პატიოსან ჟურნალისტს, კიდევ უფრო აქტიურად ამხილონ ამერიკელი ვანდალების დანაშაულობანი, ხელი შეუწყონ მათს საერთაშორისო იზოლაციასა და საბოლოო დამარცხებას.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ვიონებმი

...ყვებსა და კეთილ სურვილებს. კოლექტივის სახელ-...ტოკიდანაც კი მოვიდა დეპეშები, რომლებსაც ხელს ...ველი ექიმები ა. და ვ. ძაძამიძე, ა. ნებიერიძე, ...ძე და ა. ოლჩესაშვილი.

...ო მეკარედ აღიარებულ იქნა თბილისელთა კარის ... რომელსაც დიდ ბრძოლათა გადახდა დასჭირდა, ... შეეტანა კოლექტივის წარმატებაში. თქვენ მას ხე-...ლ სურათზე.

...კეთესო მცველი აღმოჩნდა ფირუზ კანთელაძე, რო-...ოწონება დაიმსახურა თავისი თამაშით და საამისოდ ... საგანგებო პრიზიც მიიღო (მეორე სურათი მარჯვ-...).

...რათზე აღბეჭდილია საწვრთნელი ვარჯიშის დამ-...მძღვანელი, რომელიც ფეხბურთის ყველა მოყვა-...ის „დინამოდან", სპორტის ოსტატი, საქართველოს ...ნელი ვლადიმერ ელოშვილი უკანასკნელ დარი-...ლსაზრდელებს.

...ვე, მეგობრებო!

ტექსტი და ფოტო მ. ულენტისა.





# მიუწვდომელი მეზღვაურები

ლვოვში გამართული ბოლო ტურის მატჩებით: „დინამო", მოსკოვი — „ტორპედო" (4:4), „დინამო", კიევი — „სპარტაკი", ლენინგრადი (4:1), „დინამო", ლვოვი — „ბალტიკა", ლენინგრადი (5:4), დამთავრდა „ა" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის II წრის I ტური.

როგორც მარჯვნივ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (ცსკ ვმფ) წყალბურთელებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას, კიდევ უფრო განიმტკიცეს სალიდერო პოზიციები და ჩემპიონობაც თითქმის გაიძალდეს.

ოქტომბრის მეორე ნახევარში მოსკოვს ჩასატარებელი დასკვნითი ტურის მატჩებში ბრძოლა უმთავრესად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის გაჩაღდება, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებს ერთბაშად 5 გუნდი — მოსკოვის კოლექტივები: „დინამო", „ტორპედო", და უნივერსიტეტი, თბილისისა და ლვოვის დინამოელები.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკ ვმფ | 16 | 14 | 1 | 1 | 67:38 | 29 |
| „ტორპედო" | 16 | 8 | 7 | 1 | 66:44 | 23 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 16 | 10 | 3 | 3 | 62:47 | 23 |
| „დინამო" (ლვოვი) | 16 | 8 | 4 | 4 | 68:52 | 20 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 9 | 2 | 5 | 69:63 | 20 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 8 | 3 | 5 | 52:44 | 19 |
| „დინამო" (კიევი) | 16 | 4 | 8 | 4 | 47:46 | 16 |
| „ბალტიკა" | 16 | 5 | 5 | 6 | 59:56 | 15 |
| კაფ | 16 | 4 | 3 | 9 | 50:63 | 11 |
| „შრ. რეზერვები" | 16 | 2 | 3 | 11 | 47:62 | 7 |
| „სპარტაკი" | 16 | — | 5 | 11 | 36:85 | 5 |
| „ტრუდი" | 16 | 1 | 2 | 13 | 52:78 | 4 |

# უბერებელი ბოტვინიკი

**მოსკოვი, 30 სექტემბერი (ჩვენი კორ.).** სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ყოველდღე დილითა და საღამოს არ ცხრება ბრძოლა ჩვენი ქვეყნის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა მოჭადრაკეების გუნდური პირველობისთვის. დღეისთვის გათამაშდა 5 ტური. დაწინაურდნენ „სპარტაკი" (39,5 ქულა 58-დან), ცსკა (37,5 58-დან), „ტრუდი" (36 46-დან), „ბურევესტნიკი" (36 57-დან).

იმის გამო, რომ გუნდის საბოლოო წარმატებას განაპირობებს ქულათა სიმრავლე და არა ცალკეული მატჩების მოგება, საგრძნობლად ამაღლდა თვითეული შეხვედრის მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ნ. გაფრინდაშვილმაც ითამაშა გუნდურ პირველობაში. მსოფლიო ჩემპიონმა „ბურევესტნიკის" ქულათა ბიუჯეტში თავისი წვლილი (2,5 ქულა 3-დან) შეიტანა. მან მოუგო ს. როოტარეს, ნ. მოსიონჟიკს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. კუშნირთან.

კმაყოფილი არიან „ბურევესტნიკის" მესვეურნი საქართველოს ჩემპიონის ც. კახიანიშვილის გამოსვლითაც. ხუთ შეხვედრაში ციცინომ 3 ქულა მოაგროვა. მან 2 პარტია მოიგო (მასლენიკოვასთან, კაულასთან), 2 ყაიმით დაამთავრა და 1 წააგო.

უდიდეს ინტერესს იწვევს ვაჟთა 1 დაფაზე გამართული ბრძოლა. აქ ყველას ჯობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 55 წლის მ. ბოტვინიკი („ტრუდი"), რომელიც ახალგაზრდული შემართებით თამაშობს. მან ყველა (5) შეხვედრა მოიგო!

აი, პ. კერესთან მისი პარტიის ფინალი.

კერესი



ბოტვინიკი

ბოტვინიკს უკეთესი პოზიცია აქვს. კერესის დაუბინავებელ მეფეს მუდამ ხიფათი ელის. ამიტომ ესტონელი დიდოსტატი ფიქრობს როქის გაკეთებას, რის საშუალებასაც ბოტვინიკი არ აძლევს.

24. ლf2 ეa7 25. g5 0—0? (უკეთესი იყო 25. ... მ:g5 შეუპოვარი დაცვით) 26. g6 f5 (მხოლოდ ასე შეიძლება h4 პაიკის დაცვა. მის დაკარგვას მამათი მოჰყვება) 27. ეb8! შავები დანებდნენ, ვინაიდან 27. ... ლ:b8 28. ლ:h4 შემდეგ მატისგან ხსნა არ არის.

# ღირსეული გამარჯვება

**თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 1 ოქტომბერი.**

**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 3:0 (1:0).**

**„ლოკომოტივი"**: გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი (მირიანაშვილი), ფრიდმანი, გოგია, ძაგანია, მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი, კოშკელოვი.

**„ყუბანი"**: კუშჩი, კიტაევი, პახომოვი, რიაბენკო, სმირნოვი, მირონცევი, დერემოვი, სალნიკოვი, მირონოვი, ბუდაგოვი, სპირიდონოვი (კოვალიოვი).

მსაჯი პ. ვადლევსკი (რიგა).

დუბლიორები — 1:0 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

„ყუბანი" არაა ხელწამოსაკრავი მოწინააღმდეგე. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ამ გუნდს III ადგილი უკავია ზონის ტურნირში. „ყუბანი" ბოლო წლების მანძილზე კარგად თამაშობს და სტაბილურ მაჩვენებლებს აღწევს: როგორც წესი, ცხრილის სათავეში იმყოფება.

თავისი კარგი თვისებები კრასნოდარელმა ფეხბურთელებმა გუშინაც გვიჩვენეს. ისინი თავიდანვე მთელი მონდომებით თამაშობდნენ და თბილისელთა კარი არაერთხელ იყო ხიფათის წინაშე, მაგრამ დაცვის მთელი შემადგენლობა არ შედრკა და გრძელიშვილმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

ბრძოლა მინდვრის შუაგულის დაპყრობისათვის საკმაო ხანს მიმდინარეობდა. მასპინძლები თანდათან, მეთოდურად ეუფლებოდნენ ტერიტორიას და მალე მათი უპირატესობა თვალსაჩინო შეიქნა, მაგრამ პირველი გოლი „ყუბანის" კარში მაინც კუშჩის შეცდომას უნდა მივაწეროთ. მან უხეიროდ მიიღო ძაგანიას მიერ დარტყმული საჯარიმო ბურთი და საკუთარი ხელით გაგზავნა იგი თავისი კარის ბადეში — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ „ყუბანი" დიდხანს უტევდა მასპინძლებს, მაგრამ მაშინაც კი, როცა თბილისელებს ძალიან უჭირდათ, მათ ანგარიშის გაზრდის საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ. კოშკელოვი, კაიშაური, მუმლაძე უკიდურესად ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდნენ და ვერ იყენებდნენ ამ შანსებს.

და, მაინც, თბილისელთა კარგმა, კოლექტიურმა თამაშმა ნაყოფი გამოიღო. ჯერ კაიშაურმა ზუსტად გამოიყენა მაზიაშვილის გადაცემა, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელმა ითავა გარღვევა მარჯვენა ფლანგიდან და გოლით დაამთავრა იგი.

**რ. ქორიძე.**



# „ა" კლასი II ჯგუფი

**6 მატჩი**

30 სექტემბერს გაიმართა საკავშირო გათამაშების „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდების შეხვედრები. აი, შედეგებიც: „თერგი" (გროზნო) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „დაუგავა" (რიგა) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 4:0, „დინამო" (ტალინი) — „სპარტაკი" (გომელი) 0:1, „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1.

# „ა" კლასი IV ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 33 | 20 | 8 | 5 | 73—38 | 48 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 35 | 19 | 7 | 9 | 49—32 | 45 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 34 | 17 | 8 | 9 | 56—30 | 42 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 34 | 17 | 7 | 10 | 59—36 | 41 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 34 | 15 | 10 | 9 | 50—32 | 40 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 34 | 16 | 7 | 11 | 33—25 | 39 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 34 | 15 | 8 | 11 | 35—30 | 38 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 34 | 16 | 5 | 13 | 42—38 | 37 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 35 | 12 | 12 | 11 | 32—36 | 36 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 34 | 11 | 12 | 11 | 38—34 | 34 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 34 | 14 | 5 | 15 | 53—38 | 33 |
| „დინამო" (სოხუმი) | 33 | 12 | 9 | 12 | 41—37 | 33 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 34 | 14 | 4 | 16 | 41—47 | 32 |
| „დილა" (გორი) | 34 | 12 | 8 | 14 | 29—37 | 32 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 34 | 12 | 7 | 15 | 43—43 | 31 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 34 | 7 | 14 | 13 | 32—48 | 28 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 35 | 9 | 8 | 18 | 42—57 | 26 |
| „არაქსი" (ერევანი) | 35 | 10 | 6 | 19 | 29—52 | 26 |
| „ურალანი" (ელისტა) | 34 | 6 | 10 | 18 | 27—73 | 22 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 34 | 7 | 5 | 22 | 35—81 | 19 |

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

### I-X ადგილები

● **„კოლხეთი" (ცხაკაია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).**

● **„ფეიქარი" (წულუკიძე) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მატჩი მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში, ორივე გუნდი მოქმედებდა აზრიანად და აგრესიულად. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ „ფეიქარმა" მაშინვე განახორციელა საპასუხო შეტევა და სანოძემ გაქვითა გოლი. შესვენების შემდეგ ჩიმაკაძემ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა ბორჯომელთა კარში.

● **„სინათლე" (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

გათამაშების ლიდერთა შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა და მატჩმა გაამართლა კიდეც მოლოდინი. პირველ წარმატებას მიაღწიეს ქობულეთელებმა, რომელთა თავდამსხმელმა მღებრიშვილმა 24-ე წუთზე გახსნა ანგარიში. ცოტა ხნის შემდეგ „შუქურას" კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა გიორგობიანმა. ტაიმის დასასრულისთვის „სინათლე" დაწინაურდა — 2:1 (ბურთი გაიტანა კანდელაკმა). შესვენების შემდეგ ქობულეთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს და მათი ენერგიული, მონდომებული იერიშები დამთავრდა მანელიშვილის მიერ გატანილი მეორე საპასუხო გოლით.

● **„მერცხალი" (მახარაძე) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:1. მსაჯი ხ. სიანოზოვი (თბილისი).**

მიმდინარეობდა მატჩის მე-3 წუთი, როცა მახარაძელმა ნანუამ გაიტანა პირველი გოლი. ეს ბურთი ახალციხელებმა გაქვითეს, მაგრამ მეორე ტაიმში სალუქვაძემ („მერცხალი") გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

● **„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

### გათამაშების ცხრილი
### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I-X ადგილები — მდგომარეობა 1 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შუქურა" (ქობულეთი) | 6 | 4 | 2 | 0 | 15—9 | 10 |
| „სინათლე" (თბილისი) | 5 | 3 | 1 | 1 | 10—4 | 7 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 5 | 3 | 1 | 1 | 6—4 | 7 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 4 | 2 | 2 | 0 | 6—3 | 6 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—5 | 4 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 5 | 2 | 0 | 3 | 9—12 | 4 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 3 | 0 | 3 | 0 | 1—1 | 3 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 6 | 0 | 3 | 3 | 5—9 | 3 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 6 | 0 | 3 | 3 | 5—9 | 3 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 5 | 1 | 1 | 3 | 4—9 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ემზადებიან...



სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივების მაჩვენებლები მოზრდილთა, მოსწავლეთა, აწარმოთა კოლექტივებისა და სპორტის ტექნიკური სახეობების გუნდების მიერ მოპოვებული შედეგებით ფასდება. ამიტომაც ჩვენი ნორჩი სპორტსმენებიც კარგა ხანია ენერგიულად ემზადებიან სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისთვის. ამ სურათებზე სწორედ მოსწავლეთა სამზადისის ზოგიერთი მომენტია აღბეჭდილი.

ნორჩმა ათლეტებმა კარგა ხანს დაჰყვეს ქობულეთში მოწყობილ გამაჯანსაღებელ ბანაკში, სადაც რესპუბლიკის 200-მდე მოსწავლე-სპორტსმენი იკაჟებდა სხეულსა და იმაღლებდა ტექნიკას. აქ იყო თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი, პირველთანრიგოსანი მოცურავე ლ. ოსიპოვაც. თქვენ მას ხედავთ მარჯვენა ფოტოზე. მარცხენა ზედა სურათზე აღბეჭდილია ამიერკავკასიის მოსწავლეთა მეგობრული თამაშებისა და საქართველოს ჩემპიონი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი, პირველთანრიგოსანი ა. ოჩინიკოვა. ქვევით — საგზატკეცილო ველორბოლაში მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების კანდიდატები, პირველთანრიგოსნები — სოხუმის მე-3 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ვ. აფშილავა და მე-2 საშუალო სკოლის მერვეკლასელი ნ. კორჩევი ვარჯიშისთვის სამზადისისას.

ფოტო ფ. კრიმსკისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# სანამლავი

**ფრანგულ ჟურნალ „ნოველ ობსერვატერში" დაიბეჭდა სტატია სათაურით — „დოპინგის საიდუმლოებანი". ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ სტატიიდან მცირედი შემოკლებით.**

იგი 18 წლისაა. გამოსაშვებ გამოცდებზე ჩაფლავდა და მისმა მშობლებმა მაშინვე მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება: ორი კვირა სოფელში გაატარე და ისევ შესძლებ მუშაობასო.

და აი, ჭაბუკი სოფელშია. აივანზე მაგიდა დგას, მაგიდაზე რამდენიმე წიგნი და რვეული დევს, იქვე თიხის ლამაზ ლარნაკში ფანქრები აწყვია და აბებით სავსე პლასტმასის პატარა ყუთი მოჩანს. აფთიაქებში ეს აბები „ამფეტამინის" სახელით იყიდება, სავაჭროებში კი „წამლად", რომელიც დაქანცულობას შველის, სტიმულს იძლევა და ჯანზე გაყენებს. სპორტსმენები ამ აბებს დოპინგს ეძახიან.

ემანუელს ეკითხებიან, — „შენი მშობლები არ გიწყრებიან, ამ წამალს რომ სვამ"? იგი მხოლოდ იღიმება პასუხად. „რა უშავს, აბები მამის კარადაში ვიპოვე. როცა სერიოზული საქმე აქვს მოსაგვარებელი, წინასწარ ამ აბებს ყლაპავს ხოლმე".

ემანუელის მამა 45 წლისაა და უკვე 5 წელია ამფეტამინს სვამს. აი, თავად რას გვიამბობს: „ერთხელ დაღლილს გამეღვიძა. დაქანცულობას რამდენიმე დღე ვერ დავაღწიე თავი. ერთ-ერთმა მეგობარმა მირჩია ამფეტამინი დალიეო. თურმე თავად, მისთვის უშველია ამ წამალს და მეც ყურად ვიღე მისი რჩევა".

ამფეტამინს დღეს მილიონობით ხალხი იყენებს. ეს ის ხალხია, ვინც თანამედროვე ცხოვრების ტემპმა აიყოლია და ერთ მშვენიერ დღეს იგრძნო, რომ მეტს ველარ გაუძლებს. არაადამიანურ ტემპს ერთვის ჯოჯოხეთური ხმაური და უდიდესი ნერვული დაძაბულობა, რასაც გამორჩენის, „ბიზნესის" სულ უფრო და უფრო გაზრდილი მოთხოვნა იწვევს. კაცს ეუფლება თითქოს აუხსნელი დაძაბულობა, იგი ცუდად გრძნობს თავს, მაგრამ ამოსუნთქვის დრო არ რჩება. და აი, ადამიანი ხსნას ამ პატარა, უწყინარ აბებში პოულობს, მით უფრო, რომ ისინი მყისვე მოქმედებენ. თავდაპირველად წამალს იშვიათად სვამენ, მერე მოუხშირებენ, რამდენიმე წლის შემდეგ კი გაოცებულნი უჩივიან გულს, დეპრესიას, საშინელ რევმატიზმს.

რამდენიმე წლის მანძილზე ინდუსტრიულ ქვეყნებში დოპინგი საერთო ეროვნულ საწამლავად იქცა.

განსაკუთრებით გავრცელდა იგი სპორტსმენებს, უფრო კი სპორტსმენ-პროფესიონალთა შორის. ინტენსიური ძალა მათთვის არსებობის გზაა. დოპინგი კი სპორტულ სამყაროში ნიშნავს პირველობას, ყველაზე მეტ ლონეს, სისწრაფეს.

და რაკი სპორტი იდეალია თანამედროვე ადამიანისა, სახელმწიფოს მეთაურები ცდილობენ ყველაზე სასტიკი ბრძოლა სწორედ სპორტში გამოუცხადონ დოპინგს.

ამ ბრძოლის პირველი ნიშნები საფ-

## უცხოეთში

რანგეთში, „ტურ დე ფრანსის" ბოლო ველორბოლის დროს გამოიკვეთა. ამ მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა იმდენად იმოქმედა ველოსიპედისტთა თავმოყვარეობაზე, რომ ისინი „აჯანყდნენ".

„რა ჰგონიათ? შეჯიბრებისას ყველა იყენებს დოპინგს. იციან კი მათ, რას ნიშნავს ზაფხულის სეზონი ველომრბოლელისთვის? ტური სამ კვირას გრძელდება. აბა, აკრძალეთ დოპინგი და ნახავთ, ვინ გაიტანს ბოლომდე ლელოს".

ამ სიტყვების მთქმელისთვის უცხო ხილი როდია „ეს საქმე". იგი 35 წლისაა, ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა, ჰყავს შესანიშნავი ცოლი და აქვს კარგა ძალი დანაზოგი „შავი დღისთვის". აი, რა მისცა ამ კაცს მისმა პროფესიამ.

„ველორბოლებზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ მდგომარეობა მაინც არსად შეცვლილა. მოკრივეები სვამენ ამ აბებს, რომ არ იგრძნონ დარტყმა, ფეხბურთელები, — რომ თვალმა და მუხლმა უკეთ გაუჭრათ, მძლეოსნები, — რომ როგორმე დააღწიონ თავი დაძაბულობას, მოცურავეები კი იმიტომ, რომ საჭირო დისტანცია დაძლიონ".

ასეა თუ ისე, უეჭველა: დოპინგი სახიფათოა, დოპინგი უნდა აიკრძალოს, იგი ღუპავს სპორტსმენის ჯანმრთელობას.

წლეულს ბევრი ღონისძიება ჩატარდა მის წინააღმდეგ. დამუშავდა ანალიზის ახალი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ზუსტად შეიძლება დადგინდეს რა რაოდენობით მიიღო სპორტსმენმა ამფეტამინი. ასეთი სპორტსმენი დაუყოვნებლივ მოიხსნება შეჯიბრებიდან. მაგრამ არის თუ არა ეს ყველაზე უკეთესი გადაწყვეტილება, გამოსავალი? შეიძლება თუ არა დავუშვათ ქიმიური პროდუქციის გამოყენება საერთოდ და ამავე დროს ავუკრძალოთ ეს სპორტსმენებს, რომელთაც აპარეზობისას არაადამიანური ჯაფა ადგიათ?

სპორტული მედიცინის სპეციალისტები ცდილობენ დაამუშავონ ეთიკა, რომელიც შეძლებს უპასუხოს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს. შეჯიბრებისთვის სპორტსმენის სამზადისისას ყოველგვარი „ეშმაკობა" უნდა აიკრძალოს. რა აზრი აქვს რამდენიმე საათის განმავლობაში სხეულის „წამებას" თუ კი რამდენიმე თვის, ან, თუნდაც, რამდენიმე წლის შემდეგ იგი სავსებით უნდა განადგურდეს?

აუცილებელია სპორტსმენები და, პირველ ყოვლისა, პროფესიონალი სპორტსმენები დავიცვათ დოპინგისგან თვით მათი სურვილის წინააღმდეგ.

მაგრამ ფული, ფული, ფული... სწორედ ფულის სიყვარულით ეჭიდებიან ველომრბოლელები ალპებს წვიმასა და ქარში. სახეზე ტანჯვა აღბეჭდიათ, ფეხები აღარ ემორჩილებათ, მხრებზე თითქოს უმძიმესი ტვირთი აწევთ. მაგრამ არა, ისინი მაინც მიიწევენ წინ, აღთქმული ქვეყნისკენ. მხოლოდ ფულის სიყვარული აიძულებს დაქანცულ მოკრივეს აბების სახით მიიღოს აუცილებელი დახმარება, ისმინოს ისტერიული ყვირილი მარგალიტებით მორთული ქალებისა, პირველ რიგებში რომ მოკალათებულან. შინ კი ამ მოკრივეს ცოლი ეკითხება, კიდევ რამდენ ხანს გაძლებო?

სპორტული დოპინგი არ შეიძლება გამოითიშოს საერთო კონტექსტიდან.

ვიდრე საზოგადოება სავსებით არ შეიგნებს, რა მრისხანე მტრობის გაწევა შეუძლია ამ საწამლავს, იგი კვლავაც განვითარდება და მის წინააღმდეგ არავითარ რეპრესიას არ მოჰყვება სასურველი შედეგი.



# ფეხბურთი...

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

ბულგარეთის არმიელთა გუნდი „ჩერვენო ზნამია" შინ შეხვდა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსს". ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ შესვენების შემდეგ ბულგარელებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიშით 3:1 დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

„ესბიორგმა" (დანია) მიიღო ჩეხოსლოვაკიის „დუკლა". სტუმრებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 2:0.

## თასების მფლობელთა თასზე

მწვავე ბრძოლაში ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის „ტატრანისა" და გფრ-ის „ბავარიის" მატჩი. ანგარიში გახსნეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა, მაგრამ „ბავარიამ" თავისი ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დაამთავრა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1 ბრწყინვალედ ითამაშა გერმანელმა ბეკენბაუერმა.

საბერძნეთის აეკ-ი თავის მინდორზე შეხვდა პორტუგალიის თასის მფლობელს — „ბრაგას". ბერძნები დამარცხდნენ — 0:1.

გდრ-ის „ჰემიმ" ცუდი მასპინძლობა გაუწია პოლონეთის „ლეგიას". გერმანელთა სრული უპირატესობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მეორე ტაიმში, როცა „ლეგიას" კარში გატანილ იქნა ზედიზედ 3 ბურთი.



▲ სარაევო. დამთავრდა ბალკანეთის ქვეყნების XXV საიუბილეო პირველობა მძლეოსნობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რუმინელებმა, რომლებმაც ოქროს 13 მედალი მოიპოვეს. ბულგარეთის სპორტსმენებს წილად ხვდათ 8 „ოქრო" და II ადგილი. III იყო იუგოსლავია.

▲ ანკარა. თურქეთისა და ირანის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 5:3. წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: უმჩატეს წონაში — პაიდარიმ (ირანი), მჩატეში — მედინმა, ქვემსუბუქში — ყაფანლიმ (ორივენი — თურქეთი), მსუბუქში მულაჰმა (ირანი), ქვესაშუალოში — ათალაიმ (თურქეთი), საშუალოში — მეხტიზადემ (ირანი), ქვემძიმეში — აიკმა, მძიმეში — ტოპკანმა (ორივენი — თურქეთი).

**▲ პარიზი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ჰ. ჰიკემალმა 200 მეტრზე რბენაში შესანიშნავი შედეგი (20,7) აჩვენა.**

▲ ჰელსინკი. ფინელმა სპორტულმა მოსიარულემ, 25 წლის ვ. ჰარიუმ მანძილი ტამპერედან ჰელსინკამდე (161 კმ) ერთ დღეში გაიარა და თავისებური რეკორდი დაამყარა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 01800